პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

წელიწადი პირველი.

ს. კ. პ.
ცენტრ. და თბილისის
კომიტეტის და
საქრევკომის
ორგანო.

21 ივლისი
ხუთშაბათი
1917 წ. პეტროგრადის ქუჩებში, არიან მოკლულნი და დაჭრილნი; ხდება 16–18 ივლისის აჯანყებაში მონაწილე პოლკების განიარაღება.
1906 დათხოვნილია სახელ. სათათბირო, გორემიკინი [illegible], სტოლიპინი დანიშნულია მინისტრთა საბჭოს თავჯდომარედ.

რედაქციის მისამართი:
თბილისი, კრუზენშტერნის ქ., № 4 რედაქცია ღიაა ყოველ დღე გარდა კვირა-უქმეებისა დილ. 10 ს.—2 ს.
ტელეფონი: [illegible] № 1476. [illegible] № [illegible] №

გაზეთის დაკვეთა
და გაცემა სწარმოებს საქართველოს ცენტრალურ ბეჭდვითი განყოფილებაში, რუსთაველის ქ. № 4,
ტელეფონი №

დღიური:
[illegible] კომისიამ მრავალ [illegible] მერიოშინების [illegible].
გერმანიაში დაიწყო [illegible], რომელთაც [illegible].
ინგლისში მუშათა გაფიცვები ხდება. [illegible]

№ 114 ხუთშაბათი, 21 ივლისი, 1921 წ. ყოველდღიური გაზეთი ხუთშაბათი, 21 ივლისი, 1921 წ. № 114

კომუნისტური პარტია ერთად-ერთი წინამძღოლია რევოლიუციური პროლეტარიატის და ღარიბი გლეხობის.
კომუნისტური პარტია ერთად-ერთი შეურიგებელი მებრძოლია კაპიტალიზმის წინააღმდეგ.
გავამაგროთ ჩვენი პარტია! განვამტკიცოთ მისი კავშირი ყველა ქვეყნის კომპარტიებთან!
ამით ჩვენ გავამაგრებთ მსოფლიო პროლეტარულ რევოლიუციას!

აჭარის ავტონომია

ერთ კვირაზე მეტია, რაც საქართველოს დედა-ქალაქში სტუმრობენ საქართველოს განაპირა მხრის მცხოვრებთა წარმომადგენლები ჰასან ლორთქიფანიძის მეთაურობით. მათ „ახალი მეჯლისის" სახელით წარმოადგინეს პროექტი აჭარის „ავტონომიის" შესახებ და ახლა საქართველოს რევოლიუციურ კომიტეტთან პირადი მოლაპარაკებაც დაიწყეს.

აჭარის ავტონომიის ცხოვრებაში გატარების აზრი და ინიციატივა თვით საქ. რევკომს ეკუთვნის, რომელმაც წინადვე შეადგინა სათანადო კომისია, რომელმაც ავტონომიის პროექტი შეიმუშავა.

ამნაირათ წამოდგა ჩვენს წინაშე მეტათ საყურადღებო და გადაუდებელი შინაური სახელმწიფოებრივი საკითხი.

არ შეიძლება მას გვერდი აუხვიოთ და არ გამოვთქვათ მასზე ჩვენი გადაჭრილი აზრი, რომ ყველასათვის ნათელი და გარკვეული იყოს, თუ რა გზას ვადგევართ ჩვენ და რას ვფიქრობთ ამ საკითხებზე.

საბედისწერო ბრძოლის ჟამს, როცა საქართველოს მენშევიკები „საყვარელ სამშობლოს" ეთხოვებოდნენ და შავ-ზღვის ზურმუხტოვან ნაპირებს ტოვებდნენ, მათ ერთი მეტათ საყურადღებო ლოზუნგი გადმოისროლეს უკანასკნელათ, რომლითაც ლამობდნენ თავიანთი დამარცხება, ლაჩრული უკუქცევა და სრული კაპიტულაცია ამით გაემართლებინათ და თან ქართველი ხალხიც და იმავე რიალისტებსაც შეცდომაში შეეყვანათ, მოეტყუებინათ.

მათ რიხიანად, თუმცა უტიფრად განაცხადეს: ჩვენ ბოლშევიკთა ურდოებს ადვილათ გაუმკლავდებოდით, რომ ოსმალეთის ვერაგობა არ ჩადენილიყო და აჭარის მხარეზე ლაშქრობა არ დაეწყოთ. ჩვენ ძალა არ შეგვწევს ორ ფრონტზე ვიბრძოლოთ, ამიტომ ჩვენივე ნებით ხელს ვიღებთ ძალა-უფლებაზე, მსხვერპლათ ვწირავთ მას, რათა საქართველო „მთლიანი და განუყოფელი" გადავცეთ ბოლშევიკების ხელში. იმავე დროს კი ბათუმში შემოუშვეს ქიაზიმ-ბეგის ჯარები. ალბათ ეს უებრო გმირები ფიქრობდნენ და ზოგიერთები ახლაც ოცნებობენ: „ამით თვალს აუხვევთ მტერსა და მოყვარეს, იმედს და ნუგეშს მივცემთ მათ, რომ ჩვენი „მეორედ მოსვლის" ლოდინში დალიონ სული.

სამი-ოთხი თვის ლოდინის შემდეგ თვით მენშევიკებიც კი დარწმუნდნენ, რომ მათი ოცნება-იმედი ყოვლად უსაფუძვლო გამოდგა.

მაგრამ ეს არ ითქმის მათ ლოზუნგზე—„მთლიანი და განუყოფელი საქართველო".

საბჭოთა საქართველოც დამოუკიდებელ რესპუბლიკად არის გამოცხადებული და, რადგანაც სახელმწიფო უპირველესათ ტერიტორიალური ცნებაა, ის გულისხმობს ერთგვარ საზღვრებს.

რაც უფრო ვრცელია მისი ტერიტორია, მით უფრო მეტ ძალებს აკავშირებს ის, მით უფრო ძლიერია. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ შეკავშირება, გაერთიანება ხდება ორ გვარი გზით, ორ-ნაირი მეთოდით: ერთი ძალდატანებით, ძალმომრეობით, ხოლო მეორე—ნებაყოფლობის, შეგნების და „თვითგამორკვევის გზით".

თუ ჯერ კიდევ იმ დროს, როცა ქვეყნათ სახელმწიფოები აშკარა ძალმომრეობის პრინციპზე იყო აგებული, როცა აგრესიულობა და ომიანობა ძირითად პრინციპად იყო აღიარებული, ფეოდალური საქართველო ნებაყოფლობით შეუერთდა დიდ თვითმპყრობელურ რუსეთს, მით უმეტეს დღეს, როცა ნებაყოფლობითი პრინციპი, თვითგამორკვევის იდეა თვით ბურჟუაზიული სახელმწიფოების სიტყვით მაინც არის აღიარებული, ყოველი მხარე ქვეყნისა, ყოველი სახელმწიფო ამ აზრით უნდა ხელმძღვანელობდეს და ეს საბჭოთა რესპუბლიკისათვის ხომ პირდაპირ სავალდებულოა. სადაო ის კი არაა სახელმწიფო დარჩეს, თუ არა მთლიანი და განუყოფელი, არამედ გამოსარკვევია, თუ რა საფუძველზე უნდა ეფუძნოს ეს სახელმწიფოებრივი მთლიანობა და განუყოფლობა, რანაირია მისი შემადუღებელი ცემენტი.

საფუძველი კი მხოლოდ ერთია: მშრომელი მასის თვით გამორკვევა, აღნიშნული მუშებისა და გლეხების აზრი და სურვილი: რომელ სახელმწიფოში სურთ მათ შევიდეს მათი სამშობლო ქვეყანა.

ეს არის კონკრეტიულათ გადამწყვეტი ამ კითხვისა; ამიტომ იყო, რომ ოფიციალურმა ოსმალეთმაც კი მიმართა ერთ დროს „პლებისციტს", რომ თავის სასარგებლოთ გადაეჭრა ბათუმის ოლქის საკითხი, როცა ბრესტის ხელშეკრულების შემდეგ დემოკრატიული, მენშევიკური, მთავრობა ანტანტის დახმარებით ამაზე მას ისე დაჟინებით ედავებოდა. ეს დავა, როგორც ვიცით, მხოლოდ მაშინ გადაიჭრა საბოლოვოთ, როცა საბჭოთა რუსეთმა თვით გამორკვევის პრინციპი სისწორით გაატარა და ჯერ ისევ მენშევიკური საქართველოს არსებობის დროს ეს მხარე საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებში დატოვა.

ეს იმას ნიშნავს, რომ მან დაჰგმო ყალბი და ძალადი „პლებისციტი" და აჭარის თვითგამორკვევის საკითხი მისი მშრომელი მასსების ინტერესებისა და სურვილების მიხედვით გადაჭრა.

რა სურს აჭარის მცხოვრებთა მშრომელ ნაწილს, რომელიც უდიდეს უმრავლესობას წარმოადგენს.

აი ამ უმრავლესობის სურვილი და აზრი არის კანონი, რომელიც განსაზღვრავს აჭარისა და საქართველოს ურთიერთობას; ნაწილის მის მთელთან დამოკიდებულებას.

მართალია აჭარა, როგორც სხვა განაპირა მხარე თავისებური ცხოვრების პირობებით და კულტურული დონეთი განსხვავდება საქართველოს ცენტრისაგან, მაგრამ ეს იმის საბუთათ არ გამოდგება, რომ ყოველ ასეთ კუთხეს ყოველ შემთხვევაში დამოუკიდებლობა და სახელმწიფოდან გასვლის ნება მიეცეს. მაშინ ხომ სახელმწიფოც ადვილ [illegible], ვინაიდან მის განუყოფელ ნაწილებს შეადგენს, როგორც ცენტრი ისე პერიფერიები.

ჩვენი სახელმწიფოებრივ წყობილებას საფუძვლათ უდევს ორგანიზაციული პრინციპი ცენტრალისტური დემოკრატიზმისა და აი ამ პრინციპის თანახმათ ყველა ცალკე კუთხეებს ენიჭებათ ადგილობრივი ავტონომია თავისი ადგილობრივი კომპეტენციის ფარგლებში.

და ეს კომპეტენცია იმდენათ ვრცელი და ღრმაა, რამდენათაც მხარის პირობები თავისებური და განსხვავებულია ცენტრისგან სხვა და სხვა მხრით. ეროვნულის, ყოფა ცხოვრების, სარწმუნოების და საერთოთ კულტურული მხრით.

ამას გარდა საბჭოთა რუსეთმა მოგვცა ერთი დიდი გაკვეთილი ამ მხრითაც.

სახელდობრ ის, რომ, თუ გვინდა გაბატონებული ერის თვითმპყრობელური შოვინიზმი აღმოვფხვრათ მხარეში, საქართველოს სახელმწიფოს უმრავლესობის წარმომადგენელმა ერმა თვითონვე აიღოს ხელი იმ აზრზე, რომ მას უნდა ემორჩილებოდნენ მისი სახელმწიფოს ფარგლებში შემოსული ხალხები და ნება არა აქვთ მათ გავიდნენ ამ ფარგლებიდან და დაიჩინონ საკუთარი სახელმწიფოები.

პირიქით საბჭოთა რესპუბლიკა თვით აძლევს მაგალითს და წინადადებას მის შემადგენელ მშრომელ მასსებს, სურთ მათ დარჩენ აღნიშნულ სახელმწიფოებრივ საზღვრებში, თუ არა, ანდა თუ სურთ—რა პირობებით და სხვა.

აი ამ პრინციპებით ხელმძღვანელობდა და ხელმძღვანელობს საქ. რევკომი, როცა მან თავის წრიდან გამოყო განსაკუთრებული კომისია და მას მიანდო აჭარის ავტონომიის ხასიათის განსაზღვრა და პროექტის შემუშავება.

სამწუხაროთ ჯერ კიდევ არაა საკმაო ცნობები იმის შესახებ, თუ რას ფიქრობს აჭარის ახალი „მეჯლისი" ან მცხოვრებთა რა ნაწილებს წარმოადგენს, მაგრამ ერთი კი აქედანვე აშკარაა. სახელდობრ ის, რომ ავტონომია იქნება ისეთი და გატარდება იმდენათ, რამდენათაც ამას მხარს დაუჭერენ და მიიღებენ აჭარის მშრომელი ხალხის მასსები. ამ მასსების სურვილი კი გამოითქმება აჭარის მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოებში და აი ის იქნება ამ კითხვის საბოლოვოთ გადამწყვეტი.

საბჭოთა ხელისუფლების სიძნელე

II

[illegible]იდეთ მესამე გვარ სიძნელეზე. [illegible]თა ხელისუფლების დამყარება ყოველგან ბურჟუაზიის [illegible] აპარატის სრულ-დანგრევის გზით. ასე თქმა უნდა, ჩვენშიაც იგულისხმება, რომ ძველი ბურჟუაზიული სახელმწიფოს აპარატის ადგილი საბჭოთა აპარატს უნდა დაეჭირა. მაგრამ ვიყავით ამისთვის მზათ? რა თქმა უნდა რომ არა. მაგრამ, მეორე მხრით, როგორც არ უნდა ყოფილიყო, ძველი დაშლილი აპარატის ადგილას უნდა შექმნილიყო ახალი საბჭოთა აპარატი. აშკარაა, ეს ერთი დაკვრით არ შეიძლებოდა, ეს თხოულობდა დროს, თუნდაც სულ მოკლეს, ერთი მხრით და სისტემატიურს, შეუპოვარს მუშაობას მეორე მხრით. მაგრამ ცდა შეუძლებელი იყო, და აი იწყება ახალი ხელისუფლების, მუშათა და გლეხთა ხელისუფლების აპარატების შექმნა. თავის თავათ თითქო რაღაც ჯადოსნური ჯოხის მოქნევით ჩნდებიან ორგანოები, რომლებიც ხალხს ევლინებიან, როგორც საბჭოთა ხელისუფლების ორგანოები. ყველა ესენი ჩვენ გვევლინებიან რევოლიუციონური წესით. საჭიროა თუ არა, ამას არავინ კითხულობს და არც ანგარიშს უწევენ.

თავის თავათ იგულისხმება, რომ თავდაპირველათ ეს აუცილებელი იყო. მაგრამ ამ ნიადაგზე დიდ გაუგებრობებს და შეიძლება დიდ უხერხულობასაც მიეცა დასაწყისი, რაც თანდათან იზრდება და მატულობს. და რასაც ბოლო უნდა მოეღოს რაც შეიძლება ჩქარა. ჩვენ ვამბობთ იმ ბოროტებაზე, რომელსაც მრავალმთავრობა ეწოდება. ეს არის საბჭოთა ხელისუფლების ერთი სიძნელეთაგანი, რომელიც ჩვენ უნდა ვძლიოთ, რაც არ უნდა დაგვიჯდეს მის წინააღმდეგ ბრძოლა.

მრავალმთავრობა გამოიხატება იმაში, რომ ყველა დაწესებულებას უნდა დამოუკიდებლათ იმოქმედოს, არ იცნოს უმაღლესი ინსტანცია, მეორე ორგანო თავის ზევით, რომელსაც ის უნდა ემორჩილებოდეს. ეს ერთი მხარე ამ უარყოფითი მოვლენისა. მისი მეორე ცუდი მხარე მდგომარეობს იმაში, რომ ერთ და იმავე ფუნქციას რამდენიმე დაწესებულება ჩემულობს; ეს იწვევს შეხლა-შემოხლას ამ დაწესებულებათა შორის, და ბოლოს თვით საქმე ფერხდება, ბრკოლდება, ან სრულებით შეუძლებელი ხდება. ამის მაგალითი მრავალი შეიძლებოდა აქ მოგვეყვანა, მაგრამ ეს ზედმეტათ მიგვაჩნია, ვინაიდან მკითხველებს თითონ შეუძლიათ წარმოიდგინონ მთელი ჩვენი სინამდვილე. განსაკუთრებით გავრცელებულია ეს სენი პროვინციაში, სოფლად, სადაც საერთოთ ყველა გრძნობს თავის თავს უფროსათ და სხვის წინაშე დამორჩილება არა სწამს.

ახლა უნდა წარმოიდგინოთ, თუ როგორ მოქმედებს ხალხზე ეს მრავალმთავრობა, თუ რა დიდ ვნებას აყენებს ის საბჭოთა ხელისუფლების იდეას და უტეხს მას სახელს მასსის თვალში. და განა შეიძლება სხვანაირათ, როცა ორი ან რამდენიმე მთავრობის ორგანო საჯაროთ ერთიერთმანეთს ედავებიან თუ რომელი იმათგანია აღჭურვილი მეტი უფლებით, და ხშირათ ასეთი დავა შეტაკებამდეც კი მისულა.

აშკარაა, რომ მრავალმთავრობა მეტათ სერიოზული სენია, ის თამაშობს დამშლელ, დეზორგანიზატორულ როლს საბჭოთა სახელმწიფოს აღმშენებლობის საქმეში. საჭიროა, რომ თითოეულმა ორგანომ ანუ დაწესებულებამ ზუსტათ იცოდეს თავის დანიშნულება, თავისი ფუნქცია და თავის მოვალეობა და რაც ყველაზე უფრო საყურადღებოა თავისი დამოკიდებულება ურთიერთთან სხვა სახელმწიფოებრივ ორგანოებთან საბჭოთა ხელისუფლების სისტემაში. გარდა ამისა, არავისთვის საიდუმლოება არ უნდა იყოს ის გარემოება, რომ მრავალი ორგანო დღეს სრულებით ზედმეტია და მხოლოდ უკიდურესათ ართულებს საბჭოთა სახელმწიფოს მექანიზმს. ასეთი ორგანო თითქმის ყველა დაწესებულებაში მოიპოვება და ხშირათ მეტათ მყვირალა სახელს ატარებენ, ნამდვილათ კი საქმის მსვლელობას მხოლოდ ხელს უშლიან ერთი მხრით და ცუდ-მოსამსახურეთა ანუ მოხელეთა რიცხვს ადიდებენ მეორე მხრით.

შემდეგ მეტათ დიდ სიძნელეს წარმოადგენს საბჭოთა ხელისუფლებისათვის საქონლის უქონლობა, ე. ი. სიმშილი, სიცივე, სიღატაკე და სხ. ყოველივე ეს არაა ახალი, ძველია. [illegible] ხალხი მუდამ სიმშილს და სიცივეს განიცდიდა. ყოველივე ეს გამოიწვია უკანასკნელი იმპერიალისტური ომის დროს, და კიდევ უფრო გამწვავდა საბჭოთა ხელისუფლების შემოღების ხანაში. საქონლის ნაკლებობა დღეს ჩვენში მით უფრო საგრძნობელია, რომ წინანდელი მთავრობის დროს შევიწროვებული და დატანჯული მუშათა კლასი, ქალაქის და სოფლის მუშები, საბჭოთა ხელისუფლებიდან ერთბაშად გაბედნიერებას მოელოდნენ. ბევრს მართლაც უკვირს, რა მოხდა რისთვის საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ უეცრად გაქრა ისიც, რაც მენშევიკების დროს არსებობდა. არ აქცევენ ყურადღებას იმას, რომ ისინი ვისაც საქონელი ჰქონდა, მუშების და გლეხების მტრები არიან, და ეს თავისი მტრობა გამოხატეს მით, რომ როცა მუშათა კლასმა აიღო თავის ხელში ძალაუფლება, ყველა თავის საქონელს [illegible], და ამნაირათ პური, ფართლეულობა თვალის დახამხამების განმავლობაში გაქრა ბაზრიდან. აშკარაა, ბურჟუაზია ამაზე მეტათ ვერაფრით ვერ მიაყენებდა ვნებას მუშათა კლასის ხელისუფლებას. ამ გარემოებას ხშირათ ვერ წვდებიან და უკვირთ, საბჭოთა ხელისუფლების დამკვიდრებას რისთვის მოყვა ასეთი გამწვავება. ივიწყებენ იმას, რომ საბჭოთა ხელისუფლების დამკვიდრება ნიშნავს კლასობრივი ბრძოლის უკიდურეს ხარისხამდე გამწვავებას; მაგრამ სპეკულაცია, საქონლის გადამალვა ნიშნავს კონტრ-რევოლიუციონური ბურჟუაზიის მიერ ბრძოლის წარმოებას მუშების და გლეხების წინააღმდეგ.

თავის მხრით მუშათა კლასმა ანგარიში უნდა გაუწიოს ამ გარემოებას და შესაფერი ზომები მიიღოს გაბოროტებული ბურჟუაზიის ასალაგმავათ, გადამალული საქონლის ამოსაჩენათ და სხვ. მაგრამ ეს მას ვერ იხსნის დღეს. ერთათ ერთი ზომა, რომელსაც შეუძლია მისი შველა, ე. ი. სიმშილის და სიცივის თუ სრული არა, შენელება მაინც, ესაა წარმოების ზრდა, მეტი საქონლის დამზადება, საწარმოვო ძალთა აწევა, და ამავე დროს საქონლის განმანაწილებელი ორგანოების მოწყობა. ერთი სიტყვით მუშათა კლასი უნდა დაეპატრონოს, ანუ მან თავის საკუთარ ხელში უნდა აიღოს როგორც წარმოება, ისე განაწილება.

ფ. მახარაძე.

საბჭოთა რუსეთის პრესა

ორმაგი იტალიური ბუღალტერია.

საერთაშორისო პროფსაბჭომ მიიღო 15 ივლისს იტალიიდან შემდეგი დეპეშა: „შრომის კონფედერაცია წინადადებას გაძლევთ მოაწყოთ პროფესიების ყრილობა სტოკჰოლმში ან რეველში, გადადოთ ის აგვისტოსთვის, რათა გვქონდეს მესამე ინტერნაციონალის ყრილობის დადგენილებები და გავაფართოვოთ დღის წესრიგი, მასთან წინასწარ საერთო ხასიათის დისკუსსია სინდიკატების საერთაშორისო მდგომარეობისა და ამ საკითხში ინტერნაციონალის პროგრამის შესახებ".

შრომის იტალიის კონფედერაციის ხელმძღვანელებს ამ [illegible] ნაბიჯს საერთაშორისო პროფსაბჭომ უპასუხა დეპეშით, რომ 120 დელეგატი 17 ქვეყნიდან უკვე იმყოფება მოსკოვში, და, რომ კონგრესის გადადება ნიშნავს მის ჩაფუშვას, ხოლო ყრილობის მოწყობა კი რეველში ან სტოკჰოლმში პოლიტიკურათ ყოვლად განუხორციელებელია.

რითია გამოწვეული ერთი-შეხედვით ასეთი საკვირველი დეპეშა? რა უდევს საფუძვლათ თეთრი ძაფებით მოქარგულ [illegible] ამ დიპლომატიის ასეთ წინადადებას? საქმე იმაშია, რომ შრომის საყოველთაო კონფედერაციის ხელმძღვანელები, მასსების ნება-სურვილის მიუხედავათ, ჯერ კიდევ იმყოფებიან ამსტერდამში. ფორმალურათ ისინი ეკუთვნიან ამსტერდამსაც და მოსკოვსაც და, ამგვარათ, დღესაც [illegible], როგორც [illegible]რეს ისე პეტრეს დღეთაც.

ამ ორმაგმა ქვეშევრდომობამ გამოიწვია მთელი რიგი პროტესტებისა შიგ იტალიაში და შრომის საყოველთაო კონფედერაციაც მუშათა კლასის ორგანიზაციულ საზოგადოებრივ აზრის ზეგავლენით იძულებული გახდა შეხებოდა ამ საკითხს თავის უკანასკნელ კონგრესზე ლივორნოში. ლივორნოს კონგრესის მიერ მიღებული რეზოლიუცია ლაპარაკობს შემდეგს:

„უსიტყვოთ შევუერთდეთ პროფკავშირთა წითელ ინტერნაციონალის მოწყობის ინიციატივას იმ პირობით, რომ შევინარჩუნოთ ის დამოკიდებულებანი, რომლებიც არსებობენ შრომის კონფედერაციასა და სოციალისტურ პარტიას შორის და დაცულ იქნეს იტალიისათვის პროფესიონალური ორგანიზაციის ერთობის პრინციპი.

გამოვიდეთ ამსტერდამის ინტერნაციონალიდან პროფკავშირთა იმ საერთაშორისო ყრილობის დადგენილებით, რომელიც მოწვეულია ახლა მოსკოვში".

ყრილობამ, ამრიგათ, დაადგინა „უსიტყვოთ შევუერთდეთ", მაგრამ იქვე უმატებს, რომ შრომის კონფედერაციამ შემდეგშიაც უნდა [illegible] ძალაში ხელშეკრულება სოციალისტურ პარტიასთან. ამ დადგენილების აზრი აშკარაა. ის მიმართულია კომუნისტურ პარტიისა და საზოგადოთ კომუნისტების ცდის წინააღმდეგ გააუქმოს ძველი ხელშეკრულება და გააერთიანოს კომუნისტური გავლენა შრომის კონფედერაციის შიგნით. მთლად არაა გასაგები, თუ რას ნიშნავს „პროფესიონალური ორგანიზაციის ერთობა". შრომის საყოველთაო კონფედერაციამ მშვენივრათ იცის რომ მესამე კომუნისტური ინტერნაციონალმაც და საერთაშორისო პროფსაბჭომაც აშკარათ და კატეგორიულათ გამოიტანეს ძველი კავშირებიდან წასვლის წინააღმდეგ და კავშირების დანგრევის ლოზუნგს დაუპირდაპირეს მათი დაპყრობის ლოზუნგი. ამ ელასტიური რეზოლიუციის მიზანი ჰქონდა მიეცა შრომის კონფედერაციის ხელმძღვანელებისათვის შეძლება არ შეერთებოდნენ პროფკავშირების ინტერნაციონალს ერთი რომელიმე ამ ორ საბაბთაგანის მომიზეზებით. შრომის იტალიის კონფედერაციის ხელმძღვანელებისათვის ყოველივე აშკარა იყო, რომ კომინტერნის მესამე კონგრესი საბოლოოთ დაამხობდა იტალიის სოციალისტური პარტიის ქცევას. ამგვარათ, დარწმუნებული იყვნენ რა, რომ საქმე მათთვის არა სასურველად გადაიჭრებოდა, მათ დაფარეს სოციალისტური პარტია პროფკავშირების ყრილობის გადაწყვეტილებით.

ამგვარად, ეჭვი არ შეიძლებოდა რა კომინტერნის მესამე კონგრესის გადაწყვეტილებათა ხასიათში, შრომის იტალიის კონფედერაცია ეძებდა დაახლოვებას ამსტერდამის ინტერნაციონალთან. შრომის იტალიის კონფედერაციის პასუხს გარდა [illegible] წერილზე, რომელიც დაწერილი იყო ამ სტრიქონების დამწერის მიერ ოქტომბერში 1920 წ., არც ერთხელ არ მიუმართავს პროფკავშირთა წითელ ინტერნაციონალისთვის, სამაგიეროთ მან ახლახან „მიმართა ამსტერდამის ინტერნაციონალს ფაშისტების მოქმედების გამო და ამსტერდამის ინტერნაციონალმა გაუგზავნა შრომის იტალიის კონფედერაციას 50,000 ლირა, როგორც დახმარება იტალიის რეაქციის წინააღმდეგ საბრძოლველათ. ამ 50,000 ლირამ მაგიური გავლენა იქონიეს იტალიის შრომის კონფედერაციის ხელმძღვანელებზე და სოციალურ პარტიაზე. „ავანტიმ" უძღვნა სოლიდარობის ამ აქტს მგრძნობიარე წერილი და [illegible] ყველას მთელს განსხვავებას კულტურულ ამსტერდამის ინტერნაციონალს და რევოლიუციონურ პროფკავშირთა აზიურ საბჭოს მოქმედებათა შორის. ამ რიგათ იტალიის შრომის კონფედერაციის ზედამ[illegible]რი, რომელმაც დაგვპირდა ბრძოლას ამსტერდამის შიგნით რეფორმისტებისა და სხვა ასეთებისათვის, გადადის მთელი თავისი იარაღით და ბარგი-ბარხანით ამსტერდამელების მხარეზე, მაგრამ გადადის არა პირდაპირ, არა აშკარათ, არამედ გადრომით და სხვა და სხვა ეშმაკობით, რომელიც სრულიად არ შეეფერება მსხვილ მუშათა ორგანიზაციის ხელმძღვანელებს. მართლაც, რას ნიშნავს ეს წინადადება: გადატანილ იქნეს კონგრესი რეველში ან სტოკჰოლმში? ნუ თუ შეუძლიათ მათ მისცენ რევოლიუციონურ კავშირებს იქ შეკრების გარანტიები? [illegible] თუ არა ისინი ვალდებულებას თავის თავზე იღებენ, ესტონეთისა და შვეციის მთავრობები უზრუნველყოფენ ყველა დელეგატების ხელშეუხებლობას? ეს ხომ პირდაპირი დაცინვაა სხვა ქვეყნების მუშათა ორგანიზაციებზე! ჩვენ ყველაზე უფრო ნაკლები ნაციონალისტები ვართ და ჩვენი წინადადებაც ყრილობის მოსკოვში მოწვევის შესახებ არ გამომდინარეობდა ნაციონალისტური სულისკვეთებისაგან. ჩვენ მზათა ვართ ამა თუ შემდეგი კონგრესები, არამედ თითქმის ეს კონგრესიც კი მო-

შავი პარასკევი

დღე, როდესაც რკინის გზელთა პროფკავშირის ჩინოვნიკებმა გასცეს „სამთა კავშირის" საშუალებით მემაღაროეთა გაფიცვა, შევა ინგლისის მუშათა მოძრაობის ანალებში „შავი პარასკევის" სახელწოდებით, ასე მონათლა ის ხალხის ხმამ, ასე აღბეჭდა პრესამ და ასე შევა ის ისტორიაში. ეს არის დღე, როდესაც ინგლისის მუშებმა მიიღეს ახალი, საუცხოვო სამაგალითო გაკვეთილი იმის შესახებ, თუ რა არის ჩინოვნიკ ბელადების ინსტიტუტი. მან გამოხმაურება ჰპოვა შორს ინგლისის ფარგლებს გარეთ, ევროპისა და ამერიკის ყველა პროფკავშირებში. შავი პარასკევის ერთი გმირთაგანი ვილიამსი გამორიცხულ იქნა კომუნისტური პარტიიდან, მეორე—ტომ სი, რომელიც არასდროს არ ყოფილა და არც შეეძლო ყოფილიყო კომპარტიის წევრი, იძულებული იყო დაეტოვებინა ინგლისი და წასულიყო ამერიკაში—აქეთ დიდი იყო სიძულვილი და ზიზღი მისი ქცევის გამო. მაგრამ როგორ შეხვდა მას ამერიკა? მან ვერც კი მოასწრო გემიდან გადმოსვლა და ამერიკის მიწაზე ფეხის დადგმა, რომ მას დახვდა მუშათა დემონსტრაცია მისდამი ზიზღითა და სიძულვილით ავსებული. პლაკატებზე, რომლებიც მიჰქონდა პროცესიას იყო ამ გვარი წარწერები: „იუდამ თავი ჩამოიხრჩო მას შემდეგ, რაც გასცა. მიბაძავს კი ტომასი მის მაგალითს".

„ტომასი, რომელიც მოიპარება ინგლისის მუშების სიძულვილისაგან".

და სხვა ასეთები.

ჯერ კიდევ ინგლისში მან განუცხადა გაზეთის რეპორტიორს, რომ ის თვლის თავის თავს მემარჯვენედ, არ „გაჩუმდება მანამ, სანამ გრძელდება ლოკაუტი". ამერიკის გაზეთების ცნობით კი, ის უყურებდა „კეთილათ" მის შესახვედრათ მოწყობილ დემონსტრაციას, მაგრამ მაინც ამჯობინა დამალულიყო მისგან საბარგო ლიფტში.

ვაი გამცემლებს. მუშათა მოძრაობისათვის ტომასი მოკვდა და ბურჟუაზია ვერ შესძლებს აწი გამოიყენოს ის შექმნილ პირობებში.

ღალატისა და გამცემლობის მთელი სურათი ჯერ კიდევ არ არის სავსებით გამოაშკარავებული, ის, რაც უკვე გამომჟღავნებულია, ფაქტების მხოლოთ გარეგანი სახეა. ხოლო ფაქტები კი ასეთია: პარასკევს, 15 აპრილს, განზრახულ გაფიცვის გამოცხადების დღეს, ყველაფერი მზად იყო მისთვის. ტრანსპორტის მუშების ფართო წრეები მომხრე იყვნენ გაფიცვის, ყველა მუშათა წრეებში გამეფებული იყო არაჩვეულებრივი აღმაფრენა. მუშათა გაზეთი, და განსაკუთრებით „დეილი ჰერალდი" უფრო პროკლამაციებს გავდა, ვიდრე გაზეთებს. გამოსვლა გადაწყვეტილათ ითვლებოდა და არავის არ ეპარებოდა მასში ეჭვი. და უცბათ, სულ იმავე პარასკევს მოხდა ფაქტი, რომელმაც გააშეშა ის პროლეტარიატის შეგნებაში: ტრანსპორტისა და სამთა კავშირის ზედა ჩინოვნიკებმა დაადგინეს მოხსნან გაფიცვა და აცნობეს ეს მთავრობას. მასთან ისინი ეყრდნობოდენ მემაღაროეთა ფედერაციის მდივნის ფრანკ ხოჯსის გამოსვლას პარლამენტში, რომელმაც განაცხადა იქ, რომ ფედერაცია თანახმაა დროებით შეთანხმების ადგილობრივი ტარიფების შესახებ. ტომასმა კი მიიჩნია ეს საკმარისათ, რათა მიეღო ეს უკან დახევის საბაბათ და განეცხადებინა, რომ რაკი მემაღაროენი თანახმანი არიან მოლაპარაკებაზე, ადგილობრივი ტარიფების შესახებ, მაშინ ტრანსპორტის მუშებიც არ აცხადებენ გაფიცვას.

მართალია მემაღაროეთა ფედერაციის დელეგატები არ წავიდნენ მოლაპარაკებაზე და როგორც ცენტრი, ისე პროვინციაც კიდევ უფრო ვიდრე ოდესმე სასტიკათ იდგნენ თავის ძირითად მოთხოვნილებებზე: ერთიანი ნაციონალური ტარიფი და ნაციონალური წარმოებითი ფონდი. ბურჟუაზიის წინადადებას შემოღებული ყოფილიყო სამაზრო ან საოლქო ტარიფები, უყურებდენ წინანდელივით, როგორც წინადადებას დაანგრიონ ფედერაცია დაარღვიონ ბრძოლის ერთობა და დაიყვანონ ის დიდ და მთლიან წარმოებითი მიზნების სიმაღლიდან დაქსაქსულ დღიური ბრძოლის დონემდე წვრილი მომატებისთვის. და მაინც ტრანსპორტნიკების გამოსვლა ჩაფუშულ იქნა. იგივე ფრანკ ხოჯესი, რომელმაც ამაყათ განაცხადა ბრძოლის გამოცხადების მომენტში, რომ „მუშებმა ისწავლეს უყურებდენ მრეწველობას, როგორც მთლიან ერთეულს", გამოვიდა შეუთანხმებელი წინადადებით, რომელიც მან, მართალია, განაცხადა „დროებით", მაგრამ, რომელმაც მაინც მისცა საშუალება ჩაეფუშა ტრანსპორტნიკების გაფიცვა. სწორეთ რა და სწორეთ როგორ მოხდა აქ და როგორი იყო ამ საქმის ნამდვილი მხარე, ჯერ კიდევ არაა გამორკვეული, მაგრამ არც ერთ პროფკავშირს ეჭვი არ ეპარება, რომ სწორედ კულისებში იყო შავი პარასკევის ნამდვილი მიზეზი. განსაკუთრებით მკაფიოთ უნდა გაესვას ხაზი ტომასის როლს, რომელიც ამზადებდა უკან დახევას, ესწრაფოდა მას. ამაზე სწერდენ თითქმის ყველა პროფესიონალური ორგანოები, მაგრამ განსაკუთრებით მკაცრ დახასიათებას ვპოულობთ ჩვენ ჟურნალ „რეკორდში", რომელიც [illegible] ტრანსპორტის მუშების ორგანოა.

„...მემაღაროეებმა თავისი უარით მოლაპარაკებაზე მაღაროების მეპატრონეებთან ხოჯესის წინადადების გასარჩევათ შეინახეს სიტყვა, რომელიც მისცეს სამთა კავშირს. ამისათვის ისინი ღალატის მსხვერპლი გახდენ და ის დღე, რომლისთვისაც ემზადებოდენ და მუშაობდენ ათასობით მუშები და მუშა ქალები, დათავდა [illegible] შრომის ისტორიაში... ყველა ისინი, რომლებისათვისაც ძვირფასია მუშათა მოძრაობის პატივი, უნდა ელოდენ და იმოქმედონ, სანამ ისინი არ გაიგებენ, თუ ვინაა პასუხისმგებელი მომხდარისათვის. არაა საჭირო [illegible] და კავშირის დარღვეულათ გამოცხადება. მოძრაობა ეკუთვნის მუშებს, ისინი მოვალენი არიან დარჩენ მასში და [illegible] ქუსლით გააძევონ იქიდან ყველა გამცემლები".

თვით გამცემლობის შესახებ არავითარი ეჭვი არ შეიძლება იყოს. წინააღმდეგობით სავსე ჩვენებები, ზევით ამოტივტივებული ფაქტები, გაურკვეველი და არა დამარწმუნებელი განცხადებები „რკინის-გზელთა ნაციონალური კავშირის" და „ტრანსპორტის მუშათა ნაციონალური ფედერაციის" ჩინოვნიკებისა,—ყველაფერი ეს გვიჩვენებს, რომ უეჭველათაა გამცემლობა.

აი კიდევ არა ნაკლებათ დამახასიათებელი ციტატა სასოფლო მეურნეობის მუშების ორგანოდან; „მიწის მუშა".

„ხოჯესი გაკიცხულია მუშებისაგან იმისთვის, რომ მან თემთა პალატის წევრთა კრებაზე გააკეთა განცხადება, რომელშიაც ის უფრო შორს მიდიოდა, ვიდრე შეეძლო წასულიყო მემაღაროეთა აღმასკომს. ტომასს ბრალს სდებენ იმაში, რომ უკანასკნელ წუთში გაფიცვის თავიდან აცილების ყველა ცდის დაქირავებული და მოყიდული რეჟისორი იყო. საზოგადოებრივმა აზრმა [illegible], რომ მას და მის კოლეგებს ეშინოდათ მასების გამოსვლის.. ჩვენ აღვნიშნეთ ამ ფაქტებს, რათა ნათელვყოთ, რომ სამთა კავშირი სრულიად აღმოჩნდა არა რეალურ კავშირათ და რომ ტრედ-იუნიონური ორგანიზაციის მექანიზმი არ მისულა ჯერ კიდევ განვითარების იმ წერტილამდე სადაც შეუძლებელი ხდება, რომ რამდენიმე კაცს შეეძლოს უარის თქმა იმ მანდატის შესრულებაზე, რომელიც მისცეს მათ ფართო მასებმა".

უკანასკნელი ციტატა მეტად დამახასიათებელია.

ამრიგათ ტომასს და მის კოლეგებს ეშინოდათ მასების მოძრაობის და არ აასრულეს მათი მანდატი. ტომასი გამოცხადებულია იუდათ, ვილიამსი გაძევებულია პარტიიდან, ხოჯესი გაძევებულია მისი კავშირის მიერ. სამთა კავშირი აღიარებულია არა რეალურ კავშირათ. ასეთია მასების პირდაპირი რეაქცია მათ ქცევაზე, მაგრამ სრულებითაც არა ერთად ერთი. მომქმედ რეაქციათ გახდა გაფიცვები და დადგენილებები იმის შესახებ, რომ არ უნდა იქნეს გადმოტვირთული და მოტანილი საზღვარგარეთული ნახშირი, რომლის შემწეობითაც ლოიდ ჯორჯი ფიქრობდა მემაღაროეთა გატეხვას, და მასთან, როგორც პირველი, ისე მეორე აღმოცენდა უცბათ ადგილობრივათ ცენტრის მიუხედავათ. პირველათ დაიწყეს ბრისტოლის დოკერებმა. მათი რეზოლიუცია ამბობდა: „ჩვენ, ბრისტოლის დოკერები ვადგენთ რომ არ გადმოვტვირთოთ საქონელი იმ გემებიდან, რომლებმაც წაიღეს ქვა-ნახშირი უცხოეთის ნავთსადგურებში, და აგრეთვე არ გადმოვტვირთოთ და არ დავტვირთოთ ის გემები, რომლებიც დგანან ნავთსადგურში, მანამ, სანამ არ იქნებიან დაკმაყოფილებულნი მემაღაროენი".

ბრისტოლელებს მხარი დაუჭირეს და მასთან მეტის მეტად ენერგიულათ შოტლანდიის დოკერებმა, რომლებმაც გაიფიცნენ, რათა არ შემოეშვათ ნავსადგურში უცხოეთის ნახშირი.

მალე მოძრაობას შეუერთდენ [illegible] და იარმუტის დოკერებიც და ასე ნელ-ნელა მოძრაობა მოედო მთელ მხარეს. ასევე მოულოდნელათ, პირველათ ცალ-ცალკე სულ პატარა ჯგუფებათ დაიწყეს მოქმედება რკინის გზელებმაც, რომლებიც ხან აქ, ხან იქ უარს ამბობდენ ნახშირის გადატან გადმოტანაზე. გაფიცვის მოთხოვნას აყენებდენ შოტლანდიის რკინის გზელების ფართო წრეები. ამავე დროს 800,000 მეზღვაური გახდა ლოკაუტის ობიექტი სამუშაო ქირის დაწევის ნიადაგზე. ეს ცეცხლზე ნავთის დასხმა იყო. ორივე სატრანსპორტო გაერთიანებანი: ტრანსპორტის მუშაკთა ფედერაცია და რკინისგზელთა კავშირი იძულებული გახდენ მასების ზედმიწოლით გამოეშვათ მანიფესტი უცხოეთის ნახშირის ბოიკოტისა და ნახშირის ბლოკადის მოთხოვნით.

მოძრაობა გადავიდა კონტინენტზედაც და ჩვენ ვიცით უკვე, რომ მას მხარი დაუჭირეს აქტიურათ ბელგიის ნავსადგურების მტვირთავებმა.

თვით ინგლისში ის დოკერებიდან, მტვირთავებიდან და რკინის გზელებიდან გადავიდა გაზისა და ელექტრონის მუშაკებზედაც. ორივე იმათ უარი თქვეს უცხოეთის ნახშირით მუშაობაზე. მათ გაფიცვამ შეაჩერა ტრამვაიც ლონდონში. და როდესაც ტრანსპორტნიკების მანიფესტმა შეაჩერა ნაწილობრივი ადგილობრივი გაფიცვები ბრისტოლში, შილდში და სხვ., საყოველთაო გაფიცვების მოთხოვნა გაისმოდა და გაისმის დღესაც დოკერებსა და რკინისგზელთა შორის.

თავის დადგენილებას უცხოეთის ნახშირის შემოტანის შესახებ მემაღაროებთან საბრძოლველათ მთავრობამ მოუმატა დადგენილებაც ამუშაოს „თავისუფალი" „არა-იუნიონისტური მუშებით", ზოგიერთ ალაგას მან შესძლო დაეყენებინა სამუშაოზე, უმთავრესათ უცხოეთის ნახშირით დატვირთულ გემების გადმოტვირთვაზე, ასეთი შტრეიკბრეხერების ერთეულები და ათეულები, იქ, სადაც წინათ მუშაობდენ ათი და ასი ათასობით შეკავშირებული მუშები. დაიწყო სასტიკი ბრძოლა ამ „შავფეხიანებთან"; ისე ეძახიან ინგლისში შტრეიკბრეხერებს. დატუსაღება, დევნა და ადგილებიდან დათხოვნა, რომლებიც პრაქტიკაში იყო შემოღებული კონფლიკტის დაწყების პირველ დღეებშივე, გაძლიერდა. შორეულ რაიონებში, ნავთსადგურებში და რკინისგზის ცენტრებში მუშების შეტაკება პოლიციასთან ჩვეულებრივ მოვლენათ გადაიქცა.

მემაღაროების შემოდგომის გაფიცვის შემდეგ გამოცემულმა კანონმა ადმინისტრატიულ ხელის-უფლების არაჩვეულებრივ რწმუნებულების შესახებ დიდი ნიადაგი ჰპოვა სამუშაოთ.

სამრეწველო ქვეყნის ცხოვრება დღითი დღე სულ უფრო და უფრო დუნდებოდა: უცხოეთის ნახშირის ბოიკოტი ვრცელდებოდა წარმოების ერთი დარგიდან მეორეზე. სათბობი მასალის უქონლობამ მიაღწია ქარხნებს, ფაბრიკებს, ელექტრონის სადგურებს, ტრამვაი და ემუქრებოდა რკინის გზებს და გემებს. ხოლო ნავსადგურებში, დოკებში და რკინისგზის კვანძებზე იყო გადმოუტვირთავი ბარჟები და ვაგონები ნახშირით. სათბობი ენერგიის წყარო გახდა კლასიური ბრძოლის ობიექტი, და წარმოებამაც თავისი სამოქმედო ძალას მოკლებულმა იწყო მიდუნება.

თუ არა „შავი პარასკევი", მოძრაობა წავიდოდა უფრო მაგარი ტემპით, მიიღებდა უფრო გამბედავ ხასიათს. მაგრამ ცენტრის სისუსტემ, რომელმაც შექმნა „შავი პარასკევი", გამოიწვია სიცოცხლისაკენ პერიფერიების მოძრაობა, სტიქიურათ და სწრაფათ განვითარდა მოძრაობა და წარმოუდგენელი ქაოსიც გამოიწვია მან მრეწველობაში. ცენტრი დაფრთხა მიეცა გამოსავალი მასების ნებისათვის მოძრაობისაკენ, მან ვერ გაბედა „გამოეშვა მასები ქუჩაზე". მასებმა ვერ შესძლეს დაემორჩილებინათ თავისთვის ცენტრი და მკაცრი დარტყმით ბოლო მოეღოთ იმ ორგანიზაციისათვის, რომ ბორკავდა მათ ნებას. მაგრამ თავისი სტიქიური [illegible] მოძრაობით, მათ აიძულეს ცენტრი მხარი დაეჭირა მემაღაროეებისთვის უცხოეთის ნახშირისთვის ბოიკოტის გამოცხადებით.

აღშფოთებისა და უკმაყოფილების ტალღა სულ უფრო და უფრო იზრდება. ძველი ბელადები აღარ არიან უკვე ბელადები, იუდა-გამცემლებს და პარტიიდან გაძევებულებს აღარ შეუძლიათ უკვე უხელმძღვანელონ მოძრაობას. მაგრამ ვის აყენებს მათ ადგილზე მუშათა მასა თავის წრიდან? იპოვის ის ისეთ ჭეშმარიტ ბელადებს, რომლების გაყიდვას და მოსყიდვას ვერ შესძლებს ბურჟუაზია, რომლებიც არ ჩამოცილდებიან მასებს, არ გახდებიან სარდალ-ჩინოვნიკებათ?

„შავი პარასკევი" გახდა გარდამტეხ წერტილათ ინგლისის მუშათა მასების დამოკიდებულებაში მათ გაჩინოვნიკებულ ბელადებისადმი, მაგრამ ახლოა კი ის წითელი კვირა, როდესაც გამცემლების ადგილზე მოვლენ ახალი ადამიანები და დაიწყებენ ახალ ერას ღრუბლიან კუნძულის მუშათა მოძრაობაში?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვაწყოთ მილანში, თუ კი შრომის კონფედერაცია უზრუნველყოფს მის თავისუფლებას. მაგრამ შრომის კონფედერაციას, რომელიც ჯერ აფერხებს თავის საკუთარ ორგანიზაციებს და თავის წევრების დაცვას ფაშისტების დარბევისაგან, შეუძლია კი მას აიღოს თავის თავზე ასეთი ვალდებულება? ხოლო თუ კი მას არ შეუძლია, მაშინ რას ნიშნავს ყველა ეს წინადადებები? ჩვენ ვიცით, თუ რას ნიშნავს ეს, და ვიუწყებით ამას აშკარათ იტალიის მუშებს. იტალიის შრომის კონფედერაციის ხელმძღვანელები ბოროტად იყენებენ თქვენს ნდობას. მათ, ალბათ, სურთ, რომ იტალიის მუშები დარჩნენ ამსტერდამის ინტერნაციონალში და გამოვიდნენ პროფკავშირების წითელ ინტერნაციონალიდან, მაგრამ მათ არ შესწევთ გამბედაობა თქვენ ეს აშკარათ და ჩვენ ამიტომ ვურჩევთ იტალიის მუშებს, რომ მათ მისცენ გაკვეთილი თავიანთ ხელმძღვანელებს და უთხრან მათ პროლეტარული სიმტკიცით: „ჩვენ ნებას არ მოგცემთ თქვენ აწარმოოთ ორმაგი ბუღალტერია და ტალახში გასვაროთ იტალიის პროლეტარიატის დიდი სახელი და რევოლიუციონური პატივი“.

ა. ლოზოვსკი.

„პრავდა“ 23 ივნისი.

წითელ რესპუბლიკებში.

საქართველო

ბათუმის ნავთსადგურში.

ბათუმი, 16 ივლისი (დეპ.) 13 და 14 ივლისს ოსმალეთიდან მოვიდა 5 მოტორიანი იალქნიანი გემი: ფართლეულით, მხალით, ბრინჯით და შერეული ტანისამოსით. ამავე დღეებში მოვიდა გემები: „ფრანც“, „ფერდინანდ“ და „სპარტა“ საქონლის დიდი რაოდენობით. გაერთიანებულ ვაჭრობის სტატისტიკურ ეკონომიურ განყ. ცნობების თანახმად, 9—10 ივლისს სტამბოლიდან მოვიდა ორთქმავლები „კლეოპატრა“ და „სპარსეთი“, კონსტანციდან „სტამბოლი“, სხვადასხვა საქონლით 2240 და 362 ტონის რაოდენობით. ჩამოვიდა 271 მგზავრი. ოსმალეთის ნაპირებიდან მოვიდა 2 ფელუგა და სამი მოტორი საქონლით. ოსმალეთის ნაპირებისკენ გავიდა ექვსი მოტორი და 5 ფელუგა 2147 ფ. ნავთით და 1 მოტორი კერჩში 300 ფ. სხვა და სხვა საქონლით. 11 ივლისს ოსმალეთის ნაპირებიდან მოვიდა 2 ფელუგა და სამი მოტორი: შაქრით, საპონით, ბრინჯით, ფქვილით, ლობიოთი, ფართლეულით, ჩაით და ლილით. 12 ივლისს გავიდა 2 მოტორი ნავთით და მადნეული წყლით დატვირთული.

სახარინი.

სტამბოლიდან ბათუმში ჩამოტანილია დიდი პარტია ფრანგულ სახარინისა, კილოგრამი იყიდება 8.000 მან., რაც არსებულ ფასზე გაცილებით იაფია.

ბორჯომი.

(დეპეშით. 15 ივლისი).

დღეს გაიხსნა კომ. ახალგაზრდობის კავშირის პირველი სარაიონო კონფერენცია. ყრილობას მიესალმა კომ. ახ. კავშირის ც. კ. წითელი ლაშქრის, გრუკავროსტას წარმომად. და სხ. მოისმინეს მოხსენება მიმდინარე მომენტის შესახებ.

— ამ დღეებში იხსნება გაერთიანებული კლუბი გარნიზონის, კომ. პარტიის და კომ. ახ. კავშირისა.

რუსეთი.

საზღვარ-გარეთიდან საქონელი.

პეტროგრადი. 19 ივლისი (რადიო) პეტროგრადში მოსულ გერმანელ, ჰოლანდიელ და შვედურ გემებმა მოიტანეს დაახლოვებით 32.000 ტონ. ფქვილი, 54,000 ფ. შაქარი და 113 ათასი ფუთი ლობიო. 27 მაისიდან დღევანდელამდე შემოსულია სულ 48 უცხოელი გემი სხვა და სხვა საქონლით. მიუხედავად გადმოსატვირთად დანიშნული მოკლე დროისა, გემების განტვირთვა სწარმოებდა დადგენილ ვადაზე უფრო ადრე.

კაპიტალიზმის სამეფოებში

გერმანია

მუშათა საქმისათვის

ბერლინი. 18 ივნისი (რადიო). საფრანგეთში დაიწყო ახალი პროცესი 12 კომუნისტის წინააღმდეგ, რომელთაც ბრალდებათ, რომ ისინი გერმანულ წითელ ლაშქარს ეკუთნიან. საბრალდებლო ოქმი გადაეცა საგანგებო სასამართლოს, ვინაიდან ბრალდებულთ აბრალებენ სამხედრო ხასიათის კავშირების შექმნაში.

გაფიცვა პრუსიაში

ბერლინი, 18 ივლისი (რადიო). პრუსიაში გაიფიცნენ სასოფლო მეურნეობის მუშები. გაფიცვის ჩასაქრობად გაგზავნილია პოლიციის გაძლიერებული რაზმები.

ბულგარეთი

რევოლიუციონური მოძრაობა ბულგარეთში.

მოსკოვი, 13 ივლისი (რადიო). ბულგარეთში ხდება გლეხთა აჯანყებები. გლეხური პარტია, რომელიც განიცდის ბოლშევიკების გავლენას, ბევრ ადგილას იმარჯვებს.

მღელვარება ბულგარეთში.

ოდესა. 18 ივლისი. (რადიო). ბულგარეთის მეტ ნაწილში ხდება სერიოზული მღელვარება. სოფიაში დაკეტილია მაღაზიები და ბანკები. ცენზურა მღელვარებათა შესახებ არავითარ ცნობებს არ უშვებს.

ინდოეთი

მღელვარება და გაფიცვები ინდოეთში.

მოსკოვი. 19 ივნისი. (რადიო) მღელვარებამ მუშათა მასებს შორის აღმოსავლეთ ბენგალიაში მასიური ხასიათი მიიღო. მუშები სტოვებენ პლანტაციებს, გზა გზა იტაცებენ მემამულეთა ქონებას და სწვავენ ინვენტარს. სიმშილის ნიადაგზე ინდოეთში ხოლერა ვრცელდება. ასამბენგალის რკინის გზაზე გამოაცხადეს გაფიცვა. ბომბეიაში გაფიცულია რკინის გზის დეპო. ინგლისელების წინააღმდეგ საბოიკოტო მოძრაობა ძლიერდება. ალაჰაბადში, ქალაქის საბჭომ გამოიტანა დადგენილება ინგლისელ აღმზრდელების ყველა სკოლებიდან განდევნის შესახებ.

ქრონიკა

◆ პარასკევს 22 ივნისს. საღამოს 7 საათზე შესდგება ამხ. მიხა ცხაკაიას სახელობის მე-4 ე რაიონის მუშათა კლუბის საზეიმო გახსნა (ყოფილ ბელ „ამირ ნის“ შენობაში ვერის დაღმართი № 1) დიდი საკონცერტო განყოფილება სახელმწიფო თეატრების გამოჩენილი მსახიობების მონაწილეობით. შესვლა შეიძლება პროფკავშირების ბილეთებით.

◆ საბ. სომხეთის მისიაში სომხეთის ს. ს. ს. რესპუბლიკის სრულუფლებიანი წარმომადგენელი საქართველოში ამხ. დ. შავერდოვი გაემგზავრა საზღვარგარეთ. მის მაგიერად დანიშნულია ამხ. ა. თუმანიან სურხათიანი, რომელმაც დაიწყო თავისი სამსახურ. თანამდებობის ასრულება.

◆ შრომის დისციპლინა. შ. ს. სახ. კომისარმა შეიმუშავა და წარუდგინა საქრევკომს განსახილველად დეკრეტის პროექტი დისციპლინარულ სასჯელის დადებისა ადგილობრივი რევკომების, წევრთა და საბჭოთა მოსამსახურეთათვის. დეკრეტის პროექტი რევკომმა დაამტკიცა.

◆ საბჭოთა დაწესებულებების შემჭიდროება, საბინაო კრიზისთან დაკავშირებით, საქრევკომმა დაადგინა, მიიღოს ზომები საბჭოთა დაწესებულებების შენობათა შესამჭიდროებლად. შ. ს. კომისარიატმა შეიმუშავა სათანადო ინსტრუქციები.

◆ ჟურნალი „სოციალური უზრუნველყოფა“ სოც. უზრუნველყოფის კომისარიატის კოლეგიამ დაადგინა გამოსცეს ყოველ თვიური ჟურნალი ქართულ და რუსულ ენაზე: „სოციალური უზრუნველყოფა“.

საქართველოს წითელ არმიაში

19 ივლისს 1921 წ. ამავე პოლკის სამხედრო კომისრის კლემენტი გვალიას ხელმძღვანელობით შესდგა პოლკის საერთო კრება. დღის წესრიგში იყო შემდეგი კითხვები:

1) სამეურნეო საკონტროლო კომისია და 2) კულტურულ განმანათლებელი კომისიის არჩევა. ამ კითხვების შესახებ სიტყვა წარმოსთქვა ამავე პოლკის სამხედრო კომისარმა ამხ. გვალიამ და გააცნო ამხანაგებს კომისიების მნიშვნელობა. ზემოხსენებულ კომისიებში არჩეულ იქნა სამ, სამი ამხანაგი.

შემდეგ მოხსენება გააკეთა სამხედრო კომისარმა ამხ. გვალიამ წითელ არმიელების დანიშნულებაზე და კომუნისტურ პარტიის მუშაობაზე, რომლითაც დიდი კმაყოფილნი დარჩნენ ყველა ამხანაგები. ამხანაგმა გვალიამ გააცნო წითელ არმიელებს აგრეთვე სწავლა განათლების მნიშვნელობა. და უსწავლელობის ლიკვიდაციის მოხდენა, რისთვისაც უკვე მიღებულია ზომები. მოხსენების შემდეგ გამოტანილ იქმნა შემდეგი რეზოლიუცია:

ჩვენ № პოლკის წითელ არმიელები და უფროსთა შემადგენლობა მოვისმინეთ რა მოხსენება პოლკის სამხედრო კომისრის ამხ. გვალიასი, სალამს უძღვნით საქართველოს საბჭოთა მთავრობას, უსურვებთ ენერგიულ მუშაობას მშრომელთა საკეთილდღეოთ; ფიცსა ვსდებთ უკანასკნელ სისხლის წვეთამდის დავიცვათ ერთად ერთი მშრომელთა ინტერესების დამცველი საბჭოთა მთავრობა და ჩვენის მომზადებით მზათა ვართ იარაღით ხელში ყოველ წუთს წავიდეთ საბჭოთა მთავრობის დასაცავად სადაც საჭირო იქნება.

გაუმარჯოს საბჭოთა მუშურ გლეხურ მთავრობას.

გაუმარჯოს მსოფლიო რევოლიუციას.

გაუმარჯოს მუშურ გლეხურ წითელ არმიას და მის შტაბს III კომუნისტურ ინტერნაციონალს.

წყევლა და კრულვა მეორე ინტერნაციონალს და მათ დამქაშ მშრომელთა მცარცველებს და გამცემლებს.

გაუმარჯოს პროლეტარულ რევოლიუციის ბელადებს: ლენინს, ტროცკის და მახარაძეს.

— 21 ივლისს 1921 წ. ახალციხის მუშათა და გლეხთა თეატრში გაიმართა მიტინგ კონცერტი, რომელზედაც მოხსენება გააკეთა № პოლკის სამხ. კომისარმა ამხ. გვალიამ მიმდინარე მომენტზე, რომლითაც დიდი კმაყოფილი დარჩნენ ყველანი და გამოტანილ იქმნა შემდეგი რეზოლიუცია.

უპირველესად ყოვლისა ვესალმებით საქართველოს მუშურ გლეხურ საბჭოთა მთავრობას და ხელი ხელ ჩაკიდებული სხვა მუშებთან ერთად მივილტვით მის ხელმძღვანელებთან რევოლიუციის მიზანს—სოციალიზმს.

ფიცსა ვსდებთ უკანასკნელი სისხლის წვეთამდე დავიცავთ ერთად ერთ მშრომელთა მასის ინტერესების დამცველ საბჭოთა მთავრობას.

ზიზღი მე 2 ინტერნაციონალს და მათ დამქაშებს მშრომელთა გამყიდველებს მცარცველებს.

გაუმარჯოს მუშურ გლეხურ საბჭოთა მთავრობას.

გაუმარჯოს საერთაშორისო რევოლიუციას.

გაუმარჯოს მუშურ გლეხურ წითელ არმიას და მის შტაბს მე III კომუნისტურ ინტერნაციონალს.

X.

პროვინციაში.

სენაკის მაზრის თემების თავმჯდომარეების კონფერენცია.

30 ივლ. ქ. სენაკში მოხდა თემების თავმჯდომარეთა კონფერენცია. კონფერენციას დაესწრო 33 დელეგ. კონფერენციის მიზანი იყო გამოეკვლია მაზრის ეკონომიური და პოლიტიკური მდგომარეობა. კონფერენცია იხსნება ნაშუადღევს ოთხს საათზე. კრებას ხსნის მაზრის რევკომის თავმჯდომარე ამხ. ს. მამულია, რომელიც მაზრის რევოლიუციონური კომიტეტის სახელით ესალმება კონფერენციას, უხსნის მის მოწვევის მიზეზს და უსურვებს ნაყოფიერ მუშაობას. კრება იხსნება „ინტერნაციონალის“ სიმღერით. კონფერენციის პრეზიდიუმში არჩეულ იქნა ხუთი ამხანაგი; სამსონ მამულია (თავმჯდომარედ) მის ამხანაგებად წითელი არმიის წარმომადგენელი მ. პოპოვი და ვასო ქობულია, მდივნებად ამ-გი კაპიტონ მელიქიძე და ვანო ჩაკვეტაძე.—შემუშავებულ იქნა შემდეგი დღის წესრიგი: 1) მომენტი და ჩვენი პოლიტიკა, 2) წითელ არმიის შენება 3) მოხსენებები ადგილებიდან, 4) დამოკიდებულება თემთა რევკომებისა და პარტკომებს შორის, 5) და მოკიდებულება სამაზრო რევკომსა და თემთა რევკომებს და მილიციას შორის.

6) სამაზრო რევკომის განყოფილებათა გამგეების მოხსენება: ა) განათლების, ეკონომიურის, გ) სასურსათო კომიტეტის, დ) სამაზრო მილიციის უფროსის, მიწათ-მოქმედებისა აგრონომიულის და იურიდიულის 7) მუშათა და გლეხთა ინსპექციის გამგის მოხსენება, 8) სამეგრელოს ტყის გამგის მოხსენება, 9) სამხედრო კომისიის მოხსენება, 10) ხორბლეულობის დათესვა შემოდგომაზე, 11) მიმდინარე საკითხები.

მომენტისა და ჩვენი პოლიტიკის შესახებ, მოხსენებას აკეთებს ამხ. ს. მამულია, რომელიც მოკლედ აღნიშნავს საბჭოთა რესპუბლიკების არსებობის ისტორიას და განმარტავს, რომ 1917 წ. ოქტომბრიდან ვიდრე დღემდე ჩვენ შეგვიძლია საბჭოთა რესპუბლიკების არსებობა გავყოთ ორ ხანად. პირველი ხანა 17 ოქტომბრიდან 1920 წლის 20 ნოემბრამდე. ეს ის ხანაა, როცა დამარცხდა საბჭოთა რუსეთის მოსისხლე მტერი ანტანტა დენიკინისა და კოლჩაკის სახით,—მეორე ხანა ხასიათდება სამოქალაქო ომით მსოფლიო ბურჟუაზიის მაშტაბით, როგორც შეიარაღებული ისე ეკონომიური ბლოკადის საშუალებით მთელი ჩვენი ყურადღება მიქცეული იყო სისხლიან ფრონტისაკენ, ვინაიდან ამ ფრონტზე იყო დამოკიდებული საბჭოთა რუსეთის ყოფნა არ ყოფნის საკითხი და ამიტომ იყო საუკეთესო ძალები ამ ფრონტისკენ მიმართული. ბურჟუაზია ორ ფრონტზე იბრძოდა, შეიარაღებულ და ეკონომიურზე, მაგრამ ორივე ფრონტზე სასტიკად დამარცხდა. თავისი შავი ზრახვების შესასრულებლად მიიღეს ყოველნაირი ზომები, რომ ბრძოლით დაქანცულ გლეხებს და მუშებს უარი ეთქვა თავის უფლებებზე. მათ სურდათ აღმოეფხვრათ ბოლშევიზმი, მაგრამ ვერ გაიქრა მათ ცდამ და რუსეთის პროლეტარიატი გამოვიდა გამარჯვებული. მოტყუვდა რა თავის ანგარიშში, მან, ევროპის ბურჟუაზიამ, იგემა დიდი პოლიტიკური და ეკონომიური დამარცხება, კაპიტალისტურ ქვეყნებთან იგრძნეს საშინელი ზარალი თავისი ბლოკადით, ნედლი მასალის უქონლობის გამო ქარხნები გაჩერდნენ, წარმოება შემცირდა, გამრავლდა უმუშევრობა, რომელმაც გამოიწვია მუშათა კლასში მღელვარება—ამის შემდეგ ისინი იძულებული შეიქმნენ მოეხსნათ ბლოკადა და დათმობაზე წასულიყვნენ—აი სწორედ აქედან იწყება მეორე ხანა. მაგრამ ეს ხანა ისევ ბრძოლის პერიოდს განიცდის, მხოლოდ აქ ბრძოლა არის ეკონომიური, დიპლომატიური ბრძოლა ეხლაც გრძელდება, თუმცა ინგლისმა ვაჭრული ხელშეკრულება დასდო, და გაიმარჯვებს ის, ვინც მეტს ნებას, მეტს უნარს და მომზადებას გამოიჩენს,—საგულისხმო მეორე ხანა აღმშენებლობის პროცესით, რომელმაც შექმნა ახალი უმნიშვნელოვანესი ფრონტი—ეს არის შრომის ფრონტი და ეს ფრონტი შეიქნა მძიმე და საშიშარი, ვინაიდან შვიდი წლის ომმა დაანგრია სახელმწიფო ეკონომიურად—აი ასეთ მდგომარეობამ აიძულა საბჭოთა რუსეთი გამოეცვალა ეკონომიური პოლიტიკა, რათა ალღო აეღო ცხოვრებისათვის ამ მსოფლიო სოციალისტურ ქადილის შემდეგ,—დასაშვები შეიქნა წვრილი წარმოება, სოფლის მეურნეობის გაცვლა და სხვა და სხვა ეკონომიური რეორგანიზაცია, ვინაიდან გლეხურ მუშურ მთავრობას შერჩა სახელმწიფო ცარიელი და არსებობა მშრომელი მასის, რომ არ შეეცვალა ეკონომიური პოლიტიკა, ყოვლად შეუძლებელია—რუსეთის მაშტაბით საბჭოთა ძალა უფლების აღიარების შემდეგ ევროპაში არ გადაწყდა. სოციალისტური რევოლიუციის საკითხი, მაგრამ ნიშნები არის რომ იქაც ირღვევა კაპიტალიზმის საძირკველი; ჩვენი მოვალეობაა დავაჩქაროთ ანტანტის რღვევა დანგრევა მანამდის კი შევქმნათ ძლიერი შრომის ფრონტი და მაშინ განვამტკიცებთ პროლეტარიატის დიქტატურის უფლებებს

შემდეგ ორატორი ეხება მაზრის ეკონომიურ მხარეს და აღნიშნავს, რომ ჩვენი ქვეყანა არის მეურნეობის ქვეყანა, მაგრამ უპირველესი ყურადღება უნდა მიექცეს მიწის დამუშავებას. ჩვენი ადგილი მოსავლიანია, თუ დავხარჯავთ მეტს ენერგიას და შრომას, საჭიროა არხების გაყვანა ვაკე ადგილებში, რომ არ ვუცქეროთ ბუნებას ხელდაკრეფილი. ამიტომ საჭიროა მეტი ენერგია, სიზარმაცეს ბოლო უნდა მოეღოს, თუ გვინდა, რომ ზურგზე არ შემოგვაჯდეს ჩვენი ისტორიული მტერი და მტერს დავამარცხებთ, თუ შეერთებულად და ენერგიულად გავეშურებით შრომის ფრონტისაკენ.

მოხსენებამ დიდი აღტაცება გამოიწვია დელეგატებზე, რომლებმაც ტაშის ცემით დააჯილდოვეს ორატორი. მოხსენების შემდეგ იყო შეკითხვები, რომელზედაც უპასუხა მომხსენებელმა ამ მოხსენების შემდეგ კონფერენციის მიერ შემუშავებულ იქნა მთავრობის გასაგზავნი შემდეგი დეპეშა: სენაკის მაზრის თემთა თავმჯდომარეების კონფერენცია, რომელიც შეკრებილია მაზრის ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული მდგომარეობის გამოსარკვევად და საბჭოთა აღმშენებლობის სათანადო დონეზე დასაყენებლად, ესალმება საქართველოს რევოლიუციონურ მთავრობას და კომპარტიის ცეკას, როგორც მშრომელთა სურვილის გამომხატველი და დამცველი უმაღლეს ორგანოების, უსურვებს მათ კომუნიზმის დროშის ბოლომდე ტარებას.

გაუმარჯოს საქართველოს სოც. საბჭოთა მთავრობას.

გაუმარჯოს საბჭოთა წესწყობილებას და ფხიზელ დარაჯს საქ. კომ. პარტიას.

გაუმარჯოს საქართველოს ბელადებს მიხა ცხაკაიას და ფილიპე მახარაძეს.

(შემდეგი იქნება).

ვინ არ დაინდოვს საბჭოთა ხელისუფლება საქ. განსაკუთრებული კომისიის მუშაობა

მცარცველები ხელს უშლიან მცხოვრებლების მუშაობაში. ისინი არღვევენ გლეხთა მეურნეობას. მათი მიზეზით ილუპება გლეხთა საქონელი. თუ მცარცველნი ძლიერი არიან, მცხოვრებლებს მთავრობა სუსტი გონიათ. მცარცველთ მოაქვთ თან სისხლი და ნგრევა. საბჭოთა მთავრობა შეუბრალებლად სჯის მათ.

მცარცველი ი. ზ. ტატიაშვილი, ა. მ. ტატიაშვილი და გ. გ. ყაზარიანცი არბევდნენ, ცარცვავდნენ და კლავდნენ გლეხებს. გ. ქ. შახოვი და მ. მ. არუტინოვი ცარცვავდნენ ეკლესიებს. ა. ა. მნოევი, ო. ქ. საგრადიონი და პ. ი. ტატარინკო ახდენდნენ ჩხრეკას და ცარცვავდნენ ბინებს მ. ქ. სახელით. გ. დ. მაისურაძე და ი. ი. გოგოშვილი ცარცვავდნენ მცხოვრებლებს. ძველი გამოცდილი ქურდი ი. ბი. ლეგზიშვილი ცხოვრობდა ცარცვა-გლეჯით ა. ა. ბიგლუევი და დ. მ. ლეჟავაშვილი არა ერთხელ გამოტყუნებული იყო ქურდობაში და არავითარ იმედს გამოსწორების არ იძლეოდნენ. დ. ი. არაბული ხელმძღვანელობდა მთელს ბანდას მცარცველებისას თიანეთის მაზრაში და ვ. ბენდელიანი კაცის მკვლელია, ქურდი და მცარცველი. განსაკუთრებულ კომისიის კოლეგიამ დაადგინა · ბოროტი მცარცველები ი. ტატიაშვილი, შახოვი, არუტინოვი, მნოევი, საგრადიონი, ტატარინკო, მაისურაძე, გოგოშვილი ლეგზიშვილი, ბიგლუევი, ლეჟავაშვილი, არაბული და ბენდელიანი დახვრეტილ იქნას და მოახდინონ მათი ქონების კონფისკაცია ა. ტატიაშვილსა და ყაზარიანცს მიესაჯათ დატუსაღება იძულებითი სამუშაო ბანაკში: პირველს 5 წლით და მეორეს ერთი წლის ვადით.

მექრთამენი.

მექრთამენი აშინებენ მცხოვრებლებს და თანაც სრულიად ანადგურებენ გლეხკაცის ოჯახს. თუ მექრთამენი მრავალია, მოქალაქენი ამბობენ, რომ მთავრობა ღებულობს ქრთამსო. მათი დანდობა შეუძლებელია.

თანამშრომლები სიღნაღის პოლიტბიუროსი ასკარ აბას ოღლი და პარალი აზიზ ზალე მოტყუებით მიიღეს საქარ. განსაკ. კომისიიდან მანდატი წითელი არმიელების მოსაძებნად. მიიღეს რა მანდატი, აღნიშნულმა პირებმა დაიწყეს მოქალაქეთა შორის ქრთამის აღება, მათ ემუქრებოდნენ და ძალადობდნენ.

გ. ქ. კოლეგიამ ორთავეს გადაუწყვიტა დახვრეტა და მათი ქონების კონფისკაციის მოხდენა.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დებულება

მუშათა და გლეხთა ინსპექციის დამხმარე წრეების შესახებ.

თანახმად საქ. რევ. სამ. რესპუბლიკის რევოლიუციონურ კომიტეტის ამა 1921 წ. 27 აპრილის დეკრეტისა № 30 (მმ. 10 და 11).

ყველა ქარხნებთან, სახელოსნოებთან და სხვა ყოველგვარი საბჭოთა საწარმოო დაწესებულებებთან არსდება არჩევნების საშუალებით მუშათა და გლეხთა ინსპექციის ძირითადი დამხმარე წრეები.

1. უფლებანი და ვალდებულებანი.

მუხლი 1. მუშათა და გლეხთა ინსპექციის ძირითადი დამხმარე წრეები ფაბრიკებთან, სახელოსნოებთან და სხვა საბჭოთა საწარმოო დაწესებულებებთან თვალყურს ადევნებენ: ა) ადმინისტრატიული და სამეურნეო ორგანოების მოქმედებას, და საქმის სისწორით დაყენებას იმ საწარმოო დაწესებულებაში ან მის ნაწილში, რომელზედაც ვრცელდება ადგილობრივი ძირითადი დამხმარე წრის მოქმედება; ბ) შრომის ნაყოფიერების გაუმჯობესებას და მის მიზანშეწონილად გამოყენებას; გ) ადმინისტრატიულ ორგანოების განკარგულებათა კანონიერების და მიზანშეწონილების მიხედვით და მათი ნაყოფიერად შესრულების თვალსაზრისით; დ) სურსათის, მასალის და სხვა ქონების შენახვას, განაწილებას და დახარჯვას; ე) საწარმოო დაწესებულების, საწყობების, ბეღლების და სხვაგვარ შენობების დაცვას შესაძლებელ თავდასხმისაგან, გაცარცვისაგან, ცეცხლისაგან და სხვა მოულოდნელ შემთხვევისაგან; ვ) ყველა ზომებს, რომელიც მიღებული იქნება მუშა-მოსამსახურეთა უზრუნველსაყოფად მათ მიერ თავის მოვალეობის შესრულების დროს; ზ) დაწესებულების და მთელი მისი ტერიტორიის გიგიენურ და სანიტარულ მდგომარეობას.

მუხლი 2. მუშათა და გლეხთა ინსპექციის ძირითადი დამხმარე წრეებს როგორც მთელს და აგრეთვე მათ წევრებს სათითაოდ უფლება არა აქვთ მიითვისონ რაიმე ადმინისტრატიული ან განმკარგულებელი ფუნქცია ან და ჩაერიონ ფაბრიკების, ქარხნების და სხვა საწარმოო დაწესებულებების მუშაობის მსვლელობაში და განწესრიგებაში.

მუხლი 3. მუშათა და გლეხთა ინსპექციის დამხმარე წრეები დაუყონებლივ აცნობებენ ყველა მათ მიერ შენიშნულ უწესოებაზე, უკანონობაზე და ბოროტმოქმედებებზე ადგილობრივ მუშათა და გლეხთა ინსპექციებს.

მუხლი 4. მუშათა და გლეხთა ინსპექციის ძირითად დამხმარე წრეებს უფლება აქვთ: ქარხნის გამგეობის და საქარხნო კომიტეტების სხდომებზე წარგზავნონ თავისი წარმომადგენელნი სათათბირო ხმით.

მუხლი 5. მუშათა და გლეხთა ინსპექციის ძირითადი დამხმარე წრეებს და მათ წევრებს შეუძლიან მიმართონ ხოლმე ცნობების მისაღებად საწარმოო დაწესებულების ადმინისტრაციას ან მის ცალკე წევრებს და, თუ უკანასკნელთა მხრივ ასეთი თხოვნა დაკმაყოფილებული არ იქნება, ძირითადი დამხმარე წრეები ამას აცნობებენ ადგილობრივ მუშათა და გლეხთა ინსპექციას.

მუხლი 6. ძირითადი დამხმარე წრეები ღებულობენ მცხოვრებთაგან, როგორც ზეპირად აგრეთვე წერილობით ყოველგვარ საჩივრებს და განცხადებებს, რომელთაც ისინი დაუყონებლივ გადასცემენ ხოლმე ადგილობრივ მუშათა და გლეხთა ინსპექციის საჩივართა და განცხადებათა ბიუროს.

მუხლი 7. მუშათა და გლეხთა ინსპექციის ძირითადი დამხმარე წრეები არ სარგებლობენ დამოუკიდებლად რევიზიების წარმოების უფლებით.

მუხლი 8. მუშათა და გლეხთა ინსპექციის მიერ რევიზიების წარმოების დროს შესაძლებელია მოწვეულ იქნენ მონაწილეობის მისაღებად მუშათა და გლეხთა ინსპექციის ძირითადი დამხმარე წრის წევრები.

მუხლი 9. მუშათა და გლეხთა ინსპექციის ძირითადი დამხმარე წრეები ვალდებულნი არიან შეასრულონ ადგილობრივი ინსპექციის ის დავალებანი, რომელნიც შედიან უკანასკნელის მოღვაწეობის ფარგლებში.

მუხლი 10. მუშათა და გლეხთა ინსპექციის ძირითადი დამხმარე წრეთა წევრებს ამ წრეებში მონაწილეობა არ ანთავისუფლებს მუშაობისაგან თავის დაწესებულებაში; ისინი არც რაიმე ხელფასს ღებულობენ ამ წრეებში მონაწილეობისათვის.

შენიშვნა: ადგილობრივ მუშათა და გლეხთა ინსპექციის ინიციატივით, განსაკუთრებულ დავალებათა შესასრულებლად შესაძლებელია მუშათა და გლეხთა ინსპექციის ძირითადი დამხმარე წრეების წევრები განთავისუფლებული იქნენ მუშაობისაგან საწარმოო დაწესებულებებიდან, თუ ამაზედ თანხმა იქნება ადმინისტრაცია უკანასკნელისა.

მუხლი 11. მუშათა და გლეხთა ინსპექციის მუშაობაში ძირითად დამხმარე წრეების წევრთა მიერ მონაწილეობის მიღებამ არამც და არამც არ უნდა შეაფერხოს საწარმოო დაწესებულების ჩვეულებრივი მუშაობა.

მუხლი 12. მუშათა და გლეხთა ინსპექციის ძირითადი დამხმარე წრეები აგიტაციის, საუბრის, ლექციების, მიტინგების და კრებების საშუალებით და შესაფერი ლიტერატურის დარიგებით აცნობენ მშრომელ მასას მუშათა და გლეხთა ინსპექციის დანიშნულებას და მუშაობას, აგრეთვე მის მიერ წარმოებულ რევიზიათა და კვლევა ძიებით მიხწეულ შედეგებს და ბოროტმოქმედებასთან საბრძოლველად მიღებულ ზომებს.

მუხლი 13. მუშათა და გლეხთა ინსპექციის ძირითადი დამხმარე წრეები ცდილობენ ყველა მშრომელი ჩააბან ამა თუ იმ სახით მუშათა და გლეხთა ინსპექციის მუშაობაში.

მუხლი 14. მუშათა და გლეხთა ინსპექციის ძირითადი დამხმარე წრეები ვალდებულნი არიან თვეში ერთხელ მაინც ჩაატარონ მუშაობის ანგარიში თავის ამომრჩევლების საერთო კრებას.

მუხლი 15. მუშათა და გლეხთა ინსპექციის ძირითადი დამხმარე წრეები ვალდებულნი არიან დრო გამოშვებით ჩააბარონ ხოლმე თავის მოქმედების ანგარიში ადგილობრივ მუშათა და გლეხთა ინსპექციებს.

მუხლი 16. ორ თვეში ერთხელ ადგილობრივი მუშათა და გლეხთა ინსპექცია იწვევს თავის სამოქმედო რაიონის ძირითადი დამხმარე წრეების კონფერენციას, რომელზედაც უკანასკნელნი აკეთებენ მოხსენებას თავისი მოღვაწეობის შესახებ.

მუხლი 17. მუშათა და გლეხთა ინსპექციის ძირითადი დამხმარე წრეებს უფლება არა აქვთ იქონიონ საკუთარი ბეჭედი, ბლანკები და ცალკე ბინა, ხოლო სარგებლობენ საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების და ადგილობრივ კომიტეტების ტეხნიკური აპარატით.

წესები არჩევნებისა და შინაგანი განწესრიგება.

მუხლი 18. მუშათა და გლეხთა ინსპექციის ძირითადი დამხმარე წრეების წევრთა რიცხვი არ არის შეზღუდული.

მუხლი 19. მუშათა და გლეხთა ინსპექციის დამხმარე წრეები ირჩევა იმ საწარმოო დაწესებულებებში, სადაც მუშა-მოსამსახურეთა რაოდენობა 20 ნაკლები არ არის, ხოლო დიდ საწარმოო დაწესებულებებში კი დამხმარე წრეები ირჩევა ცალკე ამ დაწესებულების ყოველ განყოფილებაში, ცეხში, სახელოსნოში და სხ.

მუხლი 20. ძირითადი დამხმარე წრეები ირჩევენ თავიანთ შორის 3—5 კაცამდე, მათ რიცხვში ერთ მდივანს, რომელიც ხელმძღვანელობს წრის მუშაობას, იჭერს დამოკიდებულებას ადგილობრივ ინსპექციასთან სათანადო პროფკავშირთან, არსებულ მუშათა და გლეხთა ინსპექციის დამხმარე კომისიასთან, ადმინისტრატიულ და სხვა დაწესებულებებთან და პირებთან.

მუხლი 21. მუშაობის შინაგანი განწესრიგება ძირითადი დამხმარე წრის წევრთა შორის ხდება ურთიერთ შორის შეთანხმებით, ადგილობრივ მუშათა და გლეხთა ინსპექციის წარმომადგენლის თანდასწრებით.

მუხლი 22. წრის მდივანი მიმდინარე მუშაობის საკითხების გამოსარკვევად აწყობს წრის სხდომას კვირაში ერთხელ მაინც.

მუხლი 23. თავის ყოველდღიურ მოქმედებაში ძირითადი დამხმარე წრეები და მისი წევრები ხელმძღვანელ დარიგებას და რჩევას ღებულობენ მხოლოდ ადგილობრივ მუშათა და გლეხთა ინსპექციიდან.

მუხლი 24. მუშათა და გლეხთა ინსპექციის ძირითადი დამხმარე წრეების მუშაობას უშუალოდ ხელმძღვანელობენ ადგილობრივ ინსპექციები.

მუხლი 25. მუშათა და გლეხთა ინსპექციის ძირითადი დამხმარე წრეების არჩევნები ფაბრიკებში, ქარხნებში და სხვა საწარმოო დაწესებულებებში ხდება იმ დაწესებულების ან მისი იმ ნაწილის მუშების საერთო კრებაზე, რომელზედაც ვრცელდება წრის მოქმედება.

მუხლი 26. საერთო კრების მოწვევა ძირითადი დამხმარე წრეების ასარჩევად საწარმოო დაწესებულებებში ხდება საფაბრიკო საქარხნო ანუ ადგილობრივი კომიტეტების ინიციატივით.

მუხლი 27. არჩევნები ძირითადი დამხმარე წრეებისა ხდება ადგილობრივი მუშათა და გლეხთა ინსპექციის წარმომადგენლის ხელმძღვანელობით.

მუხლი 28. მუშათა და გლეხთა ინსპექციის ძირითადი დამხმარე წრის წევრობა და აგრეთვე არჩევნებში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა იმ მშრომელს ამა თუ იმ დაწესებულებისას, რომელიც საბჭოთა კონსტიტუციის ძალით სარგებლობს ამომრჩევლის უფლებით, გარდა იმ პირებისა, რომელთაც ამ დაწესებულებაში რაიმე ადმინისტრატიული ან სხვა საპასუხისმგებლო თანამდებობა უჭირავს.

მუხლი 29. დამხმარე წრეების წევრებს ირჩევენ 6 თვით.

მუხლი 30. დამხმარე წრიდან რაიმე მიზეზით გასული წევრის ადგილს დაუყოვნებლივ იჭერს ახლად არჩეული წევრი.

მუხლი 31. არჩევნების დასრულების შემდეგ ძირითადი დამხმარე წრის წევრთა სია ოქმთან ერთად დაუყოვნებლივ იგზავნება ადგილობრივ მუშათა და გლეხთა ინსპექციაში.

შრომის სახალხო კომისარი და საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს თავმჯდომარე ლ. დუმბაძე.

მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარი გ. ელიაზედაშვილი.

დადგენილება

გასაწვევი ვადის გადამდები ცენტრალური კომისიისა. (ცირკულიარულად ყველა სამაზრო სამხედრო კომისარიატებს).

1. თანახმად საქართველოს რესპუბლიკის რევკომის დეკრეტისა ა. წ. 6 ივნისის თარიღით № 40, მოწვევები, რომლებმაც დაამთავრეს საშუალო სასწავლებელი და მიაღწიეს 21 წელს, თუ მოისურვებენ უმაღლეს სასწავლებელში სწავლის გაგრძელებას,—ჯარში გაწვევის ვადა უგრძელდებათ 26 წლამდის. ყოველ აღნიშნულ შემთხვევაში, მათ უნდა წარუდგინონ სათანადო მაზრის სამხედკომს მოწმობები, რომ ისინი ფაქტიურად ირიცხებიან უმაღლეს სასწავლებელში, ასრულებენ ლექციებს და ასრულებენ მოსწავლის ყოველ ვალდებულებას, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ ვადის გადაგრძელების უფლება ეკარგებათ და უნდა იქნენ ჯარში გაწვეულნი საერთო წესით.

ამ დადგენილების სისწორით შესრულებაში პასუხის მგებელია უმაღლეს სასწავლებლის თვითმართველობა.

საფუძველი: ცენტრალური კომისიის 28 მაისის თარიღით № 4 მუხ. 2.

2. ცენტრალური კომისია წინადადებას აძლევს ყველა სახალხო კომისარიატებს, რომ პასუხის მგებელ მოსამსახურეების და კვალიფიკაციური მუშების გასაწვევი ვადის გადაგრძელების შესახებ ყოველ კერძო შემთხვევაში უნდა იქნეს აღძრული სათანადო შუამდგომლობა ცენტრალური კომისიის წინაშე თანახმად გაზეთ „კომუნისტ“ში № 100 და „პრავდა გრუზიი“ში № 101 მოთავსებულ განცხადების მიხედვით.

საფუძველი: კომისიის ოქმი 1 ივლისის თარიღით № 4 მუხ. 4—5-თე.

3. თანახმად საქართველოს რევკომის დეკრეტისა 11 მარტის თარიღით № 4, ყველა რკინის გზის მოსამსახურეები განურჩევლად წლოვანებისა, ითვლებიან მობილიზაციით გაწვეულნი, ე. ი. ითვლებიან სამხედრო სამსახურში თავიანთ ადგილებზე დატოვებით. მხოლოდ ის მოსამსახურეები, გასაწვევი ასაკისა, მიღებულნი სამსახურში 11 მარტის შემდეგ, უნდა იქნენ ჯარში გაწვეულნი და წინადადება მიეცეს ამიერ-კავკასიის რკინის გზების სამმართველოს მომავალში გასაწვევი ასაკის მოსამსახურეების მიღებაზე თავი შეიკავოს.

4. ახალგაზრდა კომუნისტების კავშირის პასუხის მგებელ ორგანიზატორებს უგრძელდებათ გასაწვევი ვადა, მხოლოდ პარტიის ცენტრალურ კომიტეტის წინადადებით ცენტრალურ კომისიის მიმართ. ყოველ შუამდგომლობაში ვადის გადადების შესახებ, უნდა აღნიშნულ იქნეს საჭირო ცნობები თანახმად გაზ. „კომუნისტ“-ში № 100 და „პრავდა გრუზია“-ში № 101 მოთავსებულ ცენტრალურ კომისიის, განცხადებისა.

საფუძველი: კომისიის ოქმი ა-წ. 1 ივლისის თარიღით № 4 მუხ. 9.

5. ეთხოვოს მილიციის მთავარ სამმართველოს მიახდინოს სათანადო განკარგულება, რომ მილიციაში არ იქნეს მიღებული გასაწვევი ასაკის მოსამსახურენი; საფუძვლად და სახელმძღვანელოთ იქონიოს საქართველოს რესპუბლიკის რევკომის დეკრეტი ა წ. 20 აპრილის თარიღით № 26 მოსამსახურენი გასაწვევი ასაკისა მიღებულნი აღნიშნულ დეკრეტის გამოცემის შემდეგ უნდა იქნენ დაბრუნებულნი ქართულ წითელ ჯარში.

საფუძველი: ცენტრალურ კომისიის ოქმი ა წ. 1 ივლისის თარიღით № 4 მუხ. 11.

გასაწვევი ვადის გადამდებ ცენტრალური კომისიის თავმჯდომარე დ. ბზიავა.

მდივანი ა. ჭილაშვილი.

ცირკულიარული

სახ. სასურ. კომისარიატის რწმუნებულთ ახლი რევკომების თავმჯდომარეთ და სამაზრო სასურსათო კომიტეტებს.

ვინაიდან ზოგიერთ რესპუბლიკის რაიონებში დღეს შენიშნულია მძიმე სასურსათო მდგომარეობა, რომელიც მოსალოდნელია გაგრძელდეს ახალ მოსავლამდე, წინადადება ეძლევა სახ. სასურ. კომისარიატის რწმუნებულთ მიაქციონ სერიოზული ყურადღება რაიონების გაჭირვებას და მოთხოვნილებას, მათ მოქმედებას და მიიღონ ყოველნაირი ზომები, რათა დაკმაყოფილებული იქმნას არსებობითი მოთხოვნილება რაიონებისა, ამასთან უნდა წარმოუდგინონ პური სამ. სას. კომიტეტს ნამდვილი საჭიროების და მჭამელთა რიცხვის მიხედვით, რომელიც მათ მიერ აღნიშნულია, ამასთანავე განსაკუთრებულ შემთხვევაში პურის მიცემა შეიძლება ხდებოდეს სახ. სასურსათო კომისარიატის განმანაწილებელ ორდერის მიუღებლადაც, მაგრამ დაუყონებლივ დეპეშით უნდა ეცნობოს ასეთს შემთხვევაში განმანაწილებელ მართველობას მიცემული სურსათის და დაწესებულების აღნიშვნით. ამასთან ერთად წინადადება ეძლევათ რწმუნებულთ ყოველ ორ კვირაში სისტემატიურად, თითოეული თვის 1 და 15-თვის აცნობონ სახ. სასურსათო კომისარიატს რიცხვი სამ. სას. კომიტეტის მიერ მიცემულ პურისა.

სახ. სას. კომის. ერქომაიშვილი.

ბრძოლა ეპიდემიასთან

ბრძანება № 118.

§ 1.

მილიციას, სახლების კომიტეტებს და ყველა მოქალაქეთ ევალებათ ყოველს ხოლერით ავად გახდომის საეჭვო შემთხვევებში მოიწვიონ სამკურნალო პერსონალი სათანადო ზომების მისაღებათ. ასეთი შემთხვევების დამფარველნი მიცემულ იქნებიან რევტრიბუნალის სამართალში.

§ 2

მილიციის უფროსებს და მილიციის კომისრებს ევალებათ სისწრაფით და დაუყონებლივ მოიყვანონ ხოლმე სისრულეში ყველა ბრძანებები და სავალდებულო დადგენილებანი ხოლერის ეპიდემიასთან ბრძოლის შესახებ და აღმოუჩინონ სანიტარულ ზედამხედველებს, მათის სამსახურის საქმეების შესრულების დროს ყოველგვარი კანონიერი დახმარება.

შინაგან საქმეთა სახ. კომისარი კვირკველია.

ჯანმრთელობის სახალხო კომისარი კუჟაიძე.

სარედაქციო კოლეგია.

განცხადებანი

— საქართვ. კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი მოთავსებულია რუსთაველის პრ., № 22.

— საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტი—რუსთაველის პრ., 22 ტელ. 5—74.

— 1 ლ რაიონის ბიურო—ჩერქეზიშვილის ქ. 136. თეატრი „ნაძალადევი“ ტელ. 1—33.

— მე 2 რე რაიონის ბიურო—მიხეილის ქ. № 87. ტელ. 5—69.

— მე 3 მე რაიონის ბიურო—ავლაბარი. კახეთის მოედანი. 5—58.

— მე-4 ხე რაიონის ბიურო—ოლღას ქ. 29 „მუშათა კლუბის“ შენობაში. 9—52.

— მე 5-თე რაიონის ბიურო—აბანოს ქუჩა.

— საქ. ახალგ. კომუნისტურ კავშირის ცეკა—რუსთაველის პრ. 22.

ხუთშაბათს, 21 ივლისს საღამოს 7 საათზე ქალ. რევკომის დარბაზში (ყოფილი ქალაქის გამგეობა)

შესდგება საერთო სხდომა

თბ. კ. და ქალ. რევკომის პლენუმისა, რომელზედაც მოწვეულია: 1) ქალ. რევკომის და ტფ. ყველა წევრები, 2) კომუნისტური ფრაქცია პროფ. საბჭოსი, 3) მდივნები კ. პ. რაიონულ კომიტეტებისა, 4) მდივნები მწარმოებელთა კავშირისა, 5) საქ. ც. კ. კ. პ. სეკრეტარიატის წარმომადგენელი, 6) კომუნისტური ფრაქცია პროფ. კავშირის კომუნისტური მუშაკთა.

დღიური წესრიგი: 1) საანგარიშო მოხსენება ქალ. რევკომის პრეზიდიუმისა, 2) მიმდინარე საქმეები.

დასწრება ყველასათვის სავალდებულოა.

თფ. კ. კ. პ. ქალ. რევკომი.

ჟურნალი „ლახვარი“

ახლო მომავალში გამოვა სალიტერატურო და იუმორისტული ჟურნალი „ლახვარი“.

მასალები უნდა გამოიგზავნოს პოლიტიკური განათლების საზოგადოებრივ განყოფილებაში (ლორის—მელიქოვის ქ. № 5).

ტირაჟი 10,000

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სტამბა კრუზენშტერნის ქ. № 4.